

ბასს 16

„ძირითადი
საშუალებები“



EY

Building a better
working world

სწავლის მიზნები


- პირველადი აღიარება
- შემდგომი შეფასება - საბალანსო ღირებულებები
- ცვეთა და გაუფასურება
- აღიარების შეწყვეტა

რა არის ძირითადი საშუალებები?

- ✓ არის თუ არა ერთეული ძირითადი საშუალება?
- ✓ თუ სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს მიეკუთვნება?
- ✓ თუ ხარჯი, რომელიც პირდაპირ მოგებაში ან ზარალში აისახება?
- ✓ თუ არამატერიალური აქტივი?



რა არის ძირითადი საშუალებები? (გაგრძ.)



საიჯარო დანიშნულების საინვესტიციო ქონება ან ძირითადი საშუალებები

საინვესტიციო ქონების მაგალითები:

- ✓ საოპერაციო იჯარით გადაცემული შენობა
- ✓ მფლობელობაში საოპერაციო იჯარით გადაცემის მიზნით არსებული ცარიელი შენობა
- ✓ მესამე მხარეებზე ერთი ან მეტი საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადაცემული ქონება, ზოგადად, საინვესტიციო ქონებაა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა
 - ✓ ანგარიშვალდებული საწარმოს მფლობელობაში სრული საკუთრების უფლებით
 - ✓ იჯარით მფლობელობაში
- ✓ თუ ქონება მესაკუთრის მიერ არის დაკავებული, ის განისაზღვრება ძირითად საშუალებად, როგორცაა, მაგალითად, კომპანიის შიდა გადაცემა იჯარით

არის თუ არა ერთეული ძირითადი საშუალება?

- ✓ ABC კომპანიამ შეისყიდა მიწის ნაკვეთი, მიწის ღირებულების გაზრდის შემთხვევაში, გრძელვადიანი კაპიტალური შემოსავლის მიღების მიზნით

არის თუ არა ერთეული ძირითადი საშუალება?

- ✓ ABC საწარმომ შეისყიდა ავტომანქანა ექსკლუზიურად გენერალური დირექტორის სამსახურებრივი და პირადი სარგებლობისთვის

არის თუ არა ერთეული ძირითადი საშუალება?

- ✓ საწარმო ფლობს ავტოტრანსპორტს. ავტომანქანებს იყენებენ გაყიდვების თანამშრომლები თავიანთი მოვალეობების შესრულებისას

არის თუ არა ერთეული ძირითადი საშუალება?

- ✓ ABC კომპანიამ შეისყიდა პატენტი, რომელიც მას სპეციალური აღჭურვილობის წარმოების ან ლიცენზირების ექსკლუზიურ უფლებას აძლევს.

როდის უნდა ვაღიაროთ ძირითადი საშუალებება?

ძირითადი საშუალებების აღიარება

სამომავლო ეკონომიკური
სარგებელი

სარწმუნოდ შეფასებული
თვითღირებულება

კონტროლი ქონებაზე

ძირითადი საშუალებების აღიარების შეჯამება

როდესაც აფასებთ, ძირითად საშუალებებში გარკვეული ერთეული უნდა აღირიცხოს თუ არა, შემდეგი ფაქტორები უნდა გაითვალისწინოთ:

1

დანიშნულება

2

სასარგებლო მომსახურების ვადა

3

სამომავლო ეკონომიკური სარგებელი

4

თვითღირებულება სარწმუნოდ შეფასებადია

საკითხი 1: უნდა მოვახდინოთ თუ არა სათადარიგო ნაწილების კაპიტალიზება?

- ✓ სათადარიგო ნაწილების შემთხვევაში, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე უნდა განსაჯოთ
- ✓ უმრავლეს შემთხვევაში, სათადარიგო ნაწილები და მომსახურებისთვის საჭირო აღჭურვილობა შედის სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში და არილირცხება ბასს2-ის "სასაქონლო-მატერიალური მარაგები" შესაბამისად
- ✓ ამის მიუხედავად, უმსხვილესი სათადარიგო ნაწილები შეიძლება მიეკუთვნოს ძირითად საშუალებებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ძირითად საშუალებასთან დაკავშირებით
- ✓ **მაგალითად:** ნავთობისა და გაზის კომპანიის გაზის მრიცხველები სჯობს ძირითად საშუალებებში აისახოს, ვიდრე სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში.

საკითხი 2: უნდა მოვახდინოთ თუ არა დიდი რაოდენობით შეძენილი მცირე ერთეულების კაპიტალიზაცია?

- ✓ წარმოიდგინე, რომ მართავ გაზისა და ნავთობის კომპანიას და შეიძინე გაზის მრიცხველები
- ✓ ათასობით გაზის მრიცხველიდან თითოეულის შესყიდვის ფასი რამდენიმე დოლარია და დაზუსტებით იცი, რომ მათ ერთზე მეტი პერიოდის განმავლობაში გამოიყენებ
- ✓ უნდა აღიცხო თუ არა თითოეული გაზის მრიცხველი ცალკე
- ✓ თუ გაზის თითოეული მრიცხველი უნდა აღირცხო, როგორც ძირითადი საშუალებების ერთი ერთეული?
- ✓ ცალსახა პასუხი არც ამ შემთხვევაში არ არსებობს.

საკითხი 3: უნდა მოვახდინოთ თუ არა საიჯარო ქონების გაუმჯობესების კაპიტალიზაცია?

- ✓ წარმოიდგინე, რომ დაიქირავე საოფისე სივრცე
- ✓ საჭიროა მისი მორგება შენი საჭიროებებისთვის - მინის გამყოფი კედლების დამონტაჟება სივრცის დასაყოფად
- ✓ მინის გამყოფი კედლები წარმოადგენს მნიშვნელოვან ინვესტიციას
- ✓ შეუძლებელია ცალკე გამოყენება
- ✓ როგორ უნდა აღირიცხო ინვესტიცია საიჯარო ქონების გაუმჯობესებაში?
- ✓ ცალსახა პასუხი არც ამ შემთხვევაში არ არსებობს.

საკითხი 4: უნდა მოვახდინოთ თუ არა უსაფრთხოების/ გარემოსდაცვითი ერთეულების კაპიტალიზაცია?

- ✓ ძირითადი საშუალებების შესყიდვა შეიძლება ემსახურებოდეს უსაფრთხოების ან გარემოს დაცვის მიზნებს
- ✓ პირდაპირ არ ზრდის სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს
- ✓ ასეთი ძირითადი საშუალებების შესყიდვა შეიძლება საწარმოსთვის საჭირო გახდეს თავისი სხვა აქტივებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მისაღებად
- ✓ შესაბამისად, კაპიტალიზაცია შესაძლებელია.

საკითხი 5: რემონტი და ტექნიკური მომსახურება

- ✓ საწარმო ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში არ აღიარებს ერთეულის ყოველდღიურ მომსახურებაზე გაწეულ დანახარჯებს;
- ✓ ამის ნაცვლად, მათი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში გაწევისთანავე.
- ✓ **მაგალითებს** შეიძლება მივაკუთნოთ მუშახელი, მოხმარების საგნები და მომცრო ნაწილები.

საკითხი 5: რემონტი და ტექნიკური მომსახურება (გაგრძ.)

- ✓ კაპიტალური დანახარჯები და საოპერაციო ხარჯები

კაპიტალური დანახარჯები

კაპიტალური დანახარჯები არის ფულადი სახსრები, რომელსაც ბიზნესი იყენებს მთავარი ფიზიკური საქონლის ან მომსახურების შესყიდვისთვის, რომ გააფართოვოს კომპანიის მიერ მოგების მიღების უნარი.

საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯს იწვევს მიმდინარე დანახარჯები, რომლებსაც კომპანია გასწევს თავისი ბიზნესსაქმიანობის წარმართვისას.



თქვენ რა ბუღალტრული პრობლემები შეგხვედრიათ
ძირითადი საშუალებების აღრიცხვის დროს?

თავდაპირველი ხარჯი

თვითღირებულების განსაზღვრა

$$C = (P - T + A + D)$$

C = თვითღირებულება

P = შესყიდვის ფასი

T = სავაჭრო ფასდათმობა

A = პირდაპირ მიკუთვნებადი ყველა ხარჯი

D = აქტივის შესყიდვისას გაწეული დემონტაჟის, აღდგენის და მოხსნის დანახარჯები

სავარჯიშო 1: დანახარჯების განსაზღვრა

შენიშვნა: "მიკუთვნებადი დანახარჯები" მოიცავს ყველა იმ დანახარჯს, რომლის პირდაპირ მიკუთვნებაც შეიძლება აქტივის ისეთ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანისთვის, რომ მან შეძლოს ხელმძღვანელობისთვის სასურველი ფორმით ფუნქციონირება.

შესყიდვის ფასი - 1,000,000

შესყიდვის დასაფინანსებლად გადახდილი პროცენტი - 20,000

სავაჭრო ფასდათმობა - 175,000

ტრენინგის ხარჯი - 15,000

მიკუთვნებადი დანახარჯები - 100,000

თვითღირებულება - ?

სავარჯიშო 1: დანახარჯების განსაზღვრა



პასუხი:

$$\begin{aligned} & \text{თვითღირებულება} = \\ & \text{შესყიდვის ფასი } 1,000,000 \\ & - \text{სავაჭრო ფასდათმობა } 175,000 \\ & + \text{მიკუთვნებადი დანახარჯები } 100,000 \\ & = 925,000 \end{aligned}$$

გადავადებული გადახდა

თუ ერთეულის შესყიდვის პირობებში შედის გადახდის ნორმალურ საკრედიტო პირობებზე მეტი ხნით გადავადება, მისი თვითღირებულება იქნება ნაღდი ფულით გადახდილი ფასის ეკვივალენტი, რაც წარმოადგენს დისკონტირებულ თანხას.

სავარჯიშო 2: თვითღირებულების განსაზღვრა, გადავადებული გადახდის ჩათვლით

სავარჯიშო:

- ✓ საწარმომ იყიდა ძირითადი საშუალება, რომლისთვისაც საბაჟოზე გადაიხადა 90,000 ლარის დღგ
- ✓ 300,000 ლარი დაუყოვნებლივ იყო გადასახდელი
- ✓ 100,000 ლარი 1 წელიწადში იყო გადასახდელი
- ✓ იურიდიული კონსულტანტების მომსახურება - 5,000 ლარი
- ✓ 2,000 ლარი დაუჯდა ამ ძირითადი საშუალების მიტანა კომპანიის ქარხნამდე და ასევე 4,000 ლარის საგერბო მოსაკრებელი გადაიხადა. კომპანია მოიზიდავს სესხს 20%-ში.
- ✓ ამ ძირითად საშუალებასთან დაკავშირებით თანამშრომლებისთვის ჩატარებულ ტრენინგი 50,000 ლარი დაჯდა.

კითხვა:

რა არის თვითღირებულება?

სავარჯიშო 2: თვითღირებულების განსაზღვრა, გადავადებით გადახდის ჩათვლით

პასუხი:

გადახდილი ნაღდი ფული - 300,000

გადახდილი დღგ - 90,000

გადავადებული გადახდა $(100,000 * 1/(1+0.2))$ - 83,333

იურიდიული მომსახურების ღირებულება - 5,000

მიწოდება - 2,000

საგერბო მოსაკრებელი - 4,000

პირველადი აღიარების მთლიანი ღირებულება = 484,333

ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებასთან დაკავშირებული დანახარჯი

- ✓ სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს ძირითადი საშუალების ექსპლუატაციიდან ამოღების სახელშეკრულებო ან იურიდიული ვალდებულება
- ✓ და/ან ვალდებულება, რომ აღადგინოს ობიექტი, სადაც ის მდებარეობდა
- ✓ ეს დანახარჯები უნდა კაპიტალიზდეს მაშინ, როდესაც წარმოიშობა ასეთი ვალდებულება

სავარჯიშო 4: ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებასთან დაკავშირებული დანახარჯი

სავარჯიშო:

ნავთობკომპანიას აქვს ვალდებულება დამონტაჟების თარიღისთვის, რომ ოცდახუთწლიანი ექსპლუატაციის ვადის ბოლოს ნავთობის კომპურა ექსპლუატაციიდან ამოიღოს.

კომპურის ექსპლუატაციიდან ამოღების ხარჯი სავარაუდოდ იქნება 140 მილიონი ლარი, რომლის წმინდა დღევანდელი ღირებულებაც არის 8,023,197 ლარი, 10% დისკონტირების განაკვეთით.

კითხვა:

როგორ უნდა აღიაროს ხელმძღვანელობამ აქტივის დემონტაჟის და მოხსნის, და ობიექტის აღდგენის სავარაუდო ღირებულება?

სავარჯიშო 4: ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებასთან დაკავშირებული დანახარჯი

პასუხი:

აქტივისა და ვალდებულების აღიარებისთვის საჭირო იქნება შემდეგი ორმაგი ჩაწერა:

დებეტ. ძირითადი საშუალებები - ქარხანა და მანქანა-დანადგარები 8,023,197

კრედიტი. ანარიცხები - ექსპლუატაციიდან ამოღება 8,023,197

ძირითად საშუალებებში შესული თანხის ცვეთა ჩვეულებრივად მოხდება ნავთობის კომპურის თვითღირებულების დანარჩენ ნაწილთან ერთად.

შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზებული უნდა იქნეს, ანუ აღიარებული უნდა იქნეს როგორც აქტივი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილებენ სტანდარტში მოცემულ აღიარების კრიტერიუმებს:

- ▶ სამომავლო ეკონომიკური სარგებლის აღბათობა
- ▶ დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება

ყველა დანარჩენი შემდგომი დანახარჯის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

შემდგომი დანახარჯების მაგალითი

- პერსონალური კომპიუტერები საჭიროებს რეგულარულ წმენდას იმისათვის, რომ ოპტიმალურ ტემპერატურაზე მუშაობა შეძლონ. – ეს ხარჯია
- საწყობის გაფართოება, ახალი ოთახის აშენება სათავო ოფისის შენობაში, არსებული გადამამუშავებელი დანადგარისთვის ბოილერის დამატება საათში მეტი ნაწარმის მისაღებად. - ეს კაპიტალიზდება.

გასათვალისწინებელია განსხვავება შეკეთებისა და კაპიტალური რემონტის/მოდერნიზების დანახარჯებს შორის.

მარტივად რომ ვთქვათ, რემონტი გვეხმარება აქტივიდან არსებული სარგებლის სრული პოტენციალით მიღებაში, ხოლო კაპიტალური რემონტის/მოდერნიზების დანახარჯები ზრდის არსებულ სარგებელს.

შეფასება აღიარების შემდეგ

პირველადი აღიარების შემდეგ ბასს 16-ით ნებადართულია, რომ საწარმომ თავის სააღრიცხვო პოლიტიკად მიიღოს ორი არსებული პოლიტიკიდან ერთ-ერთი:

- ▶ თვითღირებულების მოდელი; ან
- ▶ გადაფასების მოდელი

მიღებული პოლიტიკა უნდა გავრცელდეს ძირითადი საშუალებების მთლიან კლასზე და არა კლასის რომელიმე ცალკეულ აქტივზე.

გადაფასების მოდელი



	ღირებულების გაზრდა	ღირებულების შემცირება
პირველი გადაფასება	გადაფასების ნამეტი (კაპიტალი)	მოგება-ზარალის ანგარიშგება
შემდგომი გადაფასება	მოგება-ზარალის ანგარიშგება წინა დეფიციტის, და შემდეგ კაპიტალის, ოდენობამდე	კაპიტალში წინა ნამეტის შემოზრუნება და შემდეგ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღრიცხვა

სავარჯიშო 6: გადაფასების მოდელი

სავარჯიშო:

A კომპანია თავის საკუთრებაში არსებული მიწის ბუღალტრული აღრიცხვისთვის იყენებს გადაფასების მოდელს. მიწის ნაკვეთი შეიძინა 2010 წლის 31 დეკემბერს 20,000 ლარად. ქვემოთ მოცემულია ამ მიწის ნაკვეთის სამართლიანი ღირებულება შემდეგი წლისთვის:

სამართლიანი ღირებულება 2011 წლის 31 დეკემბერს	25,000 ლარი
სამართლიანი ღირებულება 2012 წლის 31 დეკემბერს	22,000 ლარი
სამართლიანი ღირებულება 2013 წლის 31 დეკემბერს	19,000 ლარი
სამართლიანი ღირებულება 2014 წლის 31 დეკემბერს	19,500 ლარი
სამართლიანი ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბერს	26,000 ლარი

კითხვა:

როგორ უნდა აღრიცხოს სამართლიან ღირებულებაში ცვლილებები A კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში?

სავარჯიშო 6: გადაფასების მოდელი

პასუხი:

თარიღი	მიწის ნაკვეთის ღირებულება	კაპიტალი - გადაფასების ნამეტი	მოგება-ზარალის ანგარიშგება
31.12.2010	20,000		
ღირებულების გაზრდა	5,000	5,000	—
31.12.2011	25,000		
ღირებულების შემცირება	(3,000)	(3,000)	—
31.12.2012	22,000		
ღირებულების შემცირება	(3,000)	(2,000)	(1,000)
31.12.2013	19,000		
ღირებულების გაზრდა	500	—	500
31.12.2014	19,500		
ღირებულების გაზრდა	6,500	6,000	500
31.12.2015	26,000		

გადაფასების რეზერვის შემდგომი აღრიცხვა

- ვარიანტი 1: გადაფასების ნამეტის ამორტიზაცია ხდება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

დებეტ. გადაფასების რეზერვი

კრედიტი. გადაფასების რეზერვის ამორტიზაცია

- ვარიანტი 2: გადაფასების ნამეტის ამორტიზაცია არ ხდება და აქტივის ექსპლუატაციიდან ამოღების ან გასხვისების დროს ნამეტი მთლიანად გადაიტანება.

დებეტ. გადაფასების რეზერვი

კრედიტი. ძირითადი საშუალებები

ცვეთა

ცვეთა არის მატერიალური აქტივის თვითღირებულების მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე გადანაწილების სააღრიცხვო მეთოდი.

ამა თუ იმ პერიოდის ცვეთის დანარიცხის დასადგენად საწარმო ვალდებულია განსაზღვროს ყველა აღნიშნული კომპონენტი:

- ▶ სავარაუდო ნარჩენი ღირებულება;
- ▶ მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადა;
- ▶ ცვეთის დარიცხვის მეთოდი.

მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადა

აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრისას, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

- ▶ აქტივის მოსალოდნელი გამოყენება საწარმოს მიერ
- ▶ აქტივის ფიზიკური მდგომარეობის მოსალოდნელი გაუარესება მოხმარების ან დროის გასვლის შედეგად (ანუ „ფიზიკური ცვეთა“)
- ▶ ტექნიკური ან კომერციული მოძველება
- ▶ იურიდიული ან მსგავსი შეზღუდვა აქტივის გამოყენებაზე, მაგ. პატენტის, ლიცენზიის ან იჯარის ვადის გასვლა.

ცვეთის დარიცხვის მეთოდი

ბასს 16 ცვეთის დარიცხვის სამ ძირითად მეთოდს განსაზღვრავს:

- ▶ ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდი;
- ▶ შემცირებადი ნაშთის მეთოდი;
- ▶ მწარმოებლურობის პროპორციულად ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი.

ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებისას ხდება უწყვეტი დარიცხვა სასარგებლო მომსახურების ვადაზე, თუ აქტივის ნარჩენი ღირებულება არ იცვლება.

შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებისას კლებადი დარიცხვა ხდება სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

მწარმოებლურობის პროპორციულად ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას დარიცხვა ხდება მოსალოდნელ გამოყენებაზე ან ნაწარმზე.

გაუფასურება

აქტივმა შეიძლება განიცადოს დანაკარგები დაზიანების ან სხვა უარყოფითი ფიზიკური თუ ეკონომიკური მოვლენების შედეგად, და მოხდეს მისი გაუფასურება.

გამოყენებული ბასს 36-ის „აქტივების გაუფასურება“ მიერ.

გაუფასურების კომპენსაცია

მესამე მხარეებისგან მიღებული კომპენსაცია ძირითადი საშუალებების იმ ერთეულებისთვის, რომლებიც გაუფასურდა, დაიკარგა ან გადაიცა, უნდა შევიდეს მოგებაში ან ზარალში, როდესაც კომპენსაციის ვალდებულებას მესამე მხარე აღიარებს.

კომპანიამ ყოველ წელს უნდა ჩაატაროს გაუფასურების ნიშნების ანალიზი.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალებების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება უნდა შეწყდეს:

- ▶ გასხვისებისას, ან
- ▶ როდესაც მისი გამოყენებიდან ან გასხვისებიდან არ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება.

განმარტებითი შენიშვნები

საწარმო ვალდებულია გაამჟღავნოს

- ▶ აღრიცხვის მეთოდი
- ▶ ცვეთის მეთოდი
- ▶ ცვეთის ვადა ან პროცენტული მაჩვენებელი
- ▶ დაგროვილი ცვთა და თვითღირებულება (ცალ-ცალკე)
- ▶ წლის მოძრაობა: შესყიდვები, გაყიდვები, შესყიდვები ბიზნეს კომბინაციის შემთხვევაში, გაუფასურების/გადაფასების ეფექტი, მოგებაზარალში აღიარებული გაუფასურების ოდენობა, ცვეთა,
- ▶ საკურსო სხვაობით გამოწვეული ცვლილება
- ▶ სხვა ნებისმიერი ცვლილება (ტრანსფერები..)

ცვლილებები 2022 წელს

გარკვეული ნაკეთობები შესაძლებელია მიჩნეული იქნას როგორც შექმნილი ძირითადი საშუალებები, იმ ადგილზე მიტანისას და ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანისას, რაც აუცილებელია აქტივის ექსპლუატაციისთვის ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად (მაგალითად ნიმუშები, რომლებიც შეიქმნა აქტივის გამართული მუშაობის ტესტირებისას). საწარმო ამგვარი საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსულობას და მათ თვითღირებულებას აღიარებს მოგებაში ან ზარალში შესაბამისი სტანდარტების მიხედვით, ხოლო ამგვარი საქონლის თვითღირებულებას აფასებს ბასს 2-ის შეფასების მოთხოვნების გამოყენებით.

განმარტებითი შენიშვნა

ქონება, ქარხანა და აღჭურვილობა

ძირითადი საშუალებები ფასდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია გადაფასების თარიღის შემდეგ. შეფასება ხორციელდება საკმარისი სიხშირით, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ გადაფასებული აქტივის რეალური ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების პერიოდულად შეცვლაა საჭირო, კომპანია აღიარებს ასეთ ნაწილებს, როგორც ცალკეულ აქტივებს კონკრეტული სასარგებლო ვადის მქონე და შესაბამისად ახდენს მათ ღირებულების შემცირებას. ყველა სხვა სარემონტო და ტექნიკური ხარჯები აღიარებულია მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში გაწეული სახით.

განმარტებითი შენიშვნა (გაგრძ.)

ღირებულების შემცირება გამოითვლება წრფივი მეთოდით აქტივების სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში შემდეგნაირად

მნიშვნელოვანი
ინვენტარი

შინობები და ნაგებობები
ელექტრო აღჭურვილობა
გემები
ავეჯი
მიწის კეთილმოწყობა

Up to 50
Up to 30
Up to 25
5-10
5-25

აქტივების ცვეთა ხდება მათი შეძენის თვიდან, ან, საწარმოს მიერ შექმნილი აქტივის შემთხვევაში, იმ თვიდან როცა აქტივი დასრულებულია და შედის ექსპლუატაციაში, მიწას ცვეთა არ ერიცხება

განმარტებითი შენიშვნა (გაგრძ.)

10. Property, plant and equipment

	Land	Land improvement	Buildings and constructions	Ships	Electrical equipment	Furniture	Assets under construction	Total
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
Gross book value								
Balance at 31 December 2011	41,490,706	1,600,824	14,085,418	19,409,757	14,193,404	673,601	816,944	92,270,654
Additions	–	–	1,337	–	432,867	17,327	9,390,012	9,841,543
Internal transfers	–	161,973	821,218	595,065	1,227,004	164,294	(2,969,554)	–
Disposals	(227,161)	(2,641)	(15,353)	(2,717)	(55,281)	(3,196)	–	(306,349)
Balance at 31 December 2012	41,263,545	1,760,156	14,892,620	20,002,105	15,797,994	852,026	7,237,402	101,805,848
Additions	491,304	–	–	220,876	779,978	55,373	22,481,457	24,028,988
Internal transfers	–	845,724	9,840,857	1,002,552	15,049,715	791,809	(27,530,657)	–
Disposals	(4,301)	–	–	(5,387)	(45,013)	(626)	–	(55,327)
Elimination of accumulated depreciation	–	(160,000)	(1,048,862)	(1,728,795)	(3,394,647)	(367,051)	–	(6,699,355)
Revaluation increase/(decrease) recognised in OCI	3,639,635	361,125	28,337,624	(1,430,558)	5,100,697	3,213	(18,952)	35,992,784
Impairment loss	–	(257,482)	(199,733)	(590,930)	(913,560)	(69,304)	(1,361,540)	(3,392,549)
Reversal of impairment loss	847	265,232	424,352	7,430	25,553	3,592	–	727,006
Balance at 31 December 2013	45,391,030	2,814,755	52,246,858	17,477,293	32,400,717	1,269,032	807,710	152,407,395
Accumulated depreciation								
Balance at 31 December 2011	–	60,941	365,071	652,971	1,262,032	134,636	–	2,475,651
Charge for the year	–	61,500	412,541	682,228	1,360,726	124,286	–	2,641,281
Disposals	–	(232)	(2,193)	(2,717)	(13,130)	(2,317)	–	(20,589)
Balance at 31 December 2012	–	122,209	775,419	1,332,482	2,609,628	256,605	–	5,096,343
Charge for the year	–	193,961	1,027,445	1,089,741	1,591,495	245,196	–	4,147,838
Disposals	–	–	–	(3,687)	(19,253)	(436)	–	(23,376)
Elimination of accumulated depreciation	–	(160,000)	(1,048,862)	(1,728,795)	(3,394,647)	(367,051)	–	(6,699,355)
Balance at 31 December 2013	–	156,170	754,002	689,741	787,223	134,314	–	2,521,450
Net book value at 31 December 2013	45,391,030	2,658,585	51,492,856	16,787,552	31,613,494	1,134,718	807,710	149,885,945
Net book value at 31 December 2012	41,263,545	1,637,947	14,117,201	18,669,623	13,188,366	595,421	7,237,402	96,709,505

გმადლობთ

ბასს (IAS) 16 „ძირითადი საშუალებები“:



EY

Building a better
working world